დ ა ს კ ვ ნ ა

“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ” დადგენილების პროექტის შესახებ

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“, „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებთან, რომელთა თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცება, მერის თანამდებობრივი სარგოს და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრა.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტთან, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტთან, რომელთა თანახმადაც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) თანამდებობრივი სარგოები აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში

აღნიშნული პროექტის მიღება იწვევს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის №3 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან „ნორმატიული აქტების შესახებ“ - საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია